**პროექტი**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**2026 წლის —— თებერვალი** **ქალაქი ბათუმი**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

**ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N3-ში მდებარე ბათუმის პორტის სამგზავრო ტერმინალის ტერიტორიაზე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საფრანგეთის მიერ აღმოჩენილი საზღვაო მხარდაჭერის აღმნიშვნელი ბრინჯაოს მემორიალური დაფის სადგამით განთავსების თაობაზე**

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N3-ში მდებარე, ბათუმის პორტის სამგზავრო ტერმინალის ტერიტორიაზე განთავსდეს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საფრანგეთის მიერ აღმოჩენილი საზღვაო მხარდაჭერის აღმნიშვნელი ბრინჯაოს მემორიალური დაფა, სადგამით.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მემორიალური დაფის, სადგამით განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ივანე მაისურაძე**

*განმარტებითი ბარათი*

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

„ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაN3-ში მდებარე, ბათუმის პორტის სამგზავრო ტერმინალის ტერიტორიაზე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საფრანგეთის მიერ აღმოჩენილი საზღვაო მხარდაჭერის აღმნიშვნელი ბრინჯაოს მემორიალური დაფის, სადგამით განთავსების თაობაზე " ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:**

ფრანგულ არქივებში მოძიებული დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ საფრანგეთი იყო ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელმაც საქართველოს პირველ რესპუბლიკას აღმოუჩინა სამხედრო მხარდაჭერა, მისი არსებობის ყველაზე მძიმე წუთებში. იგი სათავეს უდებს ქართულ-ფრანგულ მეგობრობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია პატივი მივაგოთ ამ ისტორიულ მოვლენას.

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N3-ში მდებარე, ბათუმის პორტის სამგზავრო ტერმინალის ტერიტორიაზე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საფრანგეთის მიერ აღმოჩენილი საზღვაო მხარდაჭერის აღმნიშვნელი ბრინჯაოს მემორიალური დაფის, სადგამით განთავსებას.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი არ გააჩნია.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან**

**პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

**ე) პროექტის ავტორი:**

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**განათლების, კულტურის, ტურიზმისა და**
**სპორტის საკითხთა**
**კომისიის წევრი:** **ლევან ცხოიძე**